## საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
## ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000040812821120

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ **14** **01 / აპრილი / 2020 წ.**

### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ ჩაჩხრიალაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) 10628კვ.მ მიწის ნაკვეთის, ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 122-ე მუხლის მე- 4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 22-ემუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტისა, და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული **სოფელ ჩაჩხრიალაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორიის) 10625კვ.მ მიწის ნაკვეთის,** (საკადასტრო კოდი: 50.13.31.053;) **ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას,**

   -სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური, (საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ი) - **478.0** (ოთხას სამოცდათვრამეტი)ლარი

2. სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა **10 (ათი) წელი.**

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში ( ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ხელმოწერილია/

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დამოწმებულია ელექტრონულად

თამარ ყეინიშვილი